

**პრეპარატი “პჰოლკა” (იგივე “აპიკური” “აპიმაქსი”) და მისი გამოყენება**

პრეპარატი “პჰოლკა” ნივრისა და ფიჭვის წიწვების ექსტრაქტია. იგი გაუმჭვირვალე, სქელი არაჟნისმაგვარი სითხეა. აქვს სპეციფიკური ნივრის სუნი, დაფასოებულია 60 მლ ჭურჭელში.

მეფუტკრეობაში მისი გამოყენება რეკომენდებულია ასკოსფეროზის, ვარიატოზის საწინააღმდეგოდ და დედა ფუტკრის საგაზაფხულო კვერცხების სტიმულირებისათვის.

ეს პრეპარატი 1998-2000 წლებში კომპლექსურად შემოწმდა რიბნოეს მეფუტკრეობის აკადემიაში: ცდებით დადგინდა, რომ:

1. პრეპარატი 27%-ით ადიდებს ფუტკრის ოჯახში ბარტყის რაოდენობას;
2. შაქრის სიროფთან კვებისას მისი ასკოსფეროზის საწინააღმდეგო ეფექტურობა 80-88%-ია;
3. წვეთოვანი გზით ჩარჩოებს შორის ჩასხურებისას 70-78%;
4. ჩარჩოებზე 10-12 მილილიტრის ოდენობით შესხურებისას კი ეფექტურობა 90-92%-ს აღწევს.

ასკოსფეროზის წინააღმდეგ იგი უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდრე ასკოცინი. მისი გამოყენების წესი ასეთია:

1. როდესაც არ არის ასკოფეროზით დაავადების საშიშროება, და “პჰოლკას” პროფილაქტიკისა და ფუტკრის ოჯახის სტიმულირებისთვის ვიყენებთ, 3 მლ პრეპარატი გაერევა 1 ლ სიროფს, რომელსაც ჩავასხამთ საკვებურებში ან ცარიელ ფიჭებში 100-150 მლ-ის ოდენობით ყოველ ჩარჩო ფუტკარზე. სამკურნალო სიროფი მიეცემა ოთხჯერ სამი-ოთხდღიანი ინტერვალით;

2. ასკოსფეროზის შემთხვევაში 1 ლ სიროფს უმატებენ 10 მლ პრეპარატს და აძლევენ ფუტკრის ოჯახებს ზემოთ აღნიშნული რაოდენობითა და ჯერადობით. წვრილ ნაკადად ჩარჩოებს შორის ჩასხმის მეთოდს მიმართავენ, როცა ტემპერატურა 150C-ზე დაბალია და შაქრის გაჭირვება;

3. სამკურნალო სიროფს ამზადებენ ხმარების წინ. ყოველ 100 გრ შაქრის სიროფს უმატებენ 3 მლ პრეპარატს და მორევით აზავებენ. მიღებულ სიროფს ასხამენ ჩარჩოებს შორის 10-15 მლ რაოდენობით თითო ჩარჩო ფუტკარზე. სამკურნალო სიროფი შეაქვთ 3-4 - ჯერადად 3-დღიანი ინტერვალით;

4. აეროზოლური მეთოდით (შესხურებით). ყოველ 100 გრ. წყალს უმატებენ 6 მლ. პრეპარატს და ურევენ. მიღებულ ხსნარს ასხურებენ ყოველ ჩარჩო ფუტკარს 10-15 მლ რაოდენობით. სამუშაო სრულდება 3-ჯერადად 3-დღიანი ინტერვალით.

ბოლო დამუშავებიდან 14 დღის შემდეგ ფუტკრის ოჯახებს ათვალიერებენ. თუ აღმოჩნდა ასკოსფეროზით დაავადებული ბარტყი, მკურნალობას იმეორებენ. პროფილაქტიკის მიზნით სრულიად საკმარისია წელიწადში პრეპარატის ორჯერადად გამოყენება.

25.05.2009

**ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ვაროატოზის საწინააღმდეგოდ**

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი აბაზანებისათვის იყიდება რუსეთის აფთიაქებში. უშვებს ტიხვინის სატყეო მეურნეობა. თხევადი სახის ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი გამოდის 0,5 ლ-იან ბოთლებში, ხოლო მყარი - 1,5x1,5x8,0 სმ ბრიკეტების სახით. ვაროას ტკიპების საწინააღმდეგოდ 3-5 გრ. თხევადი ექსტრაქტი ერევა 1 ლ მზა სიროფს და ეძლევა ოჯახს 3-4 ჯერ 5-7 დღის ინტერვალით. მყარი სახის ექსტრაქტის ერთი ბრიკეტი იხსნება ერთ ლიტრ ცხელ წყალში და შეერევა 40 ლ სიროფს. კვების დოზა და ჯერადობა იგივეა.

ფიჭვის წიწვის ექსტრაქტი ჩვენც შეგვიძლია დავამზადოთ. ამისათვის უმჯობესია ადრე გაზაფხულზე შეგროვებული მწვანე წიწვები და კვირტები. ისინი უნდა დავკეპოთ კუნძზე ნაჯახით 2-3 სმ-იან ნაჭრებად. კუნძს ქვეშ უმჯობესია დავუფინოთ ბრეზენტი ან პოლიეთილენი. 1 კგ დაკეპილ ფიჭვის წიწვებს ესხმება 4 ლ მდუღარე წყალი და კარგად დათბუნებული ინახება 10-12 საათს. 200 გრ. ექსტრაქტი შეერევა 3 ლ სიროფს და ეძლევა ფუტკრის ოჯახს იმავე ჯერადობით.